

გუსტავ ლე ბონი

Gustav le Bon

ერების ფსიქოლოგია

Les Lois Psychologiques de
l'Évolution des Peuples

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2024

ნაშრომი პირველი მცდელობაა ერების ქცევის მეცნიერული ახსნისა. ტექსტი უკიდურესად მარტივი ენით არის დაწერილი, რაც ყველაზე მოუზმადებელი მკითხველისთვისაც კი წიგნს ადვილად აღსაქმელად აქცევს.

წიგნი ლე ბონის „ფსიქოლოგიური“ ნაშრომების სერიიდანაა, რომელთა შორისაა „მასების ფსიქოლოგია“, „სოციალიზმის ფსიქოლოგია“, „რევოლუციის ფსიქოლოგია“ და სხვ.

მთარგმნელი: დიმიტრი უხანეიშვილი

კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6423-0

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| მთარგმნელის წინასიტყვაობა..... | 5 |
| შესავალი: თანასწორობის თანამედროვე იდეები..... | 11 |
| და ისტორიის ფსიქოლოგიური საფუძველი..... | 11 |
| ნაწილი პირველი: ერების ფსიქოლოგიური თვისებები..... | 20 |
| თავი პირველი: ერის სული..... | 20 |
| თავი მეორე: ერის ხასიათის ცვლილების საზღვრები..... | 32 |
| თავი მესამე: ერების ფსიქოლოგიური იერარქია..... | 39 |
| თავი მეოთხე: ინდივიდებისა და ერების..... | 50 |
| პროგრესული დიფერენცირება..... | 50 |
| თავი მეხუთე: ისტორიული ერების ჩამოყალიბება..... | 59 |
| ნაწილი მეორე: როგორ ვლინდება ერების..... | 69 |
| ფსიქოლოგიური თვისებები მათი..... | 69 |
| ცივილიზაციის განსხვავებულ ელემენტებში..... | 69 |
| თავი პირველი: ხალხების ისტორია,..... | 69 |
| როგორც მათი ხასიათის შედეგი..... | 69 |
| თავი მეორე: ცივილიზაციის განსხვავებული..... | 89 |
| ელემენტები, როგორც ხალხის სულის..... | 89 |
| გარეგნული გამოვლინება..... | 89 |

| | |
|--|------------|
| თავი მესამე: როგორ გარდაიქმნება ინსტიტუტები,..... | 105 |
| რელიგია და ენები..... | 105 |
| თავი მეოთხე: როგორ გარდაიქმნება ხელოვნება..... | 120 |
| ნაწილი მესამე: როგორ იცვლება ერების..... | 143 |
| ფსიქოლოგიური თვისებები..... | 143 |
| თავი პირველი: იდეების როლი ცივილიზაციათა..... | 143 |
| განვითარებაში..... | 143 |
| თავი მეორე: რელიგიური რწმენის როლი..... | 162 |
| ცივილიზაციათა განვითარებაში..... | 162 |
| თავი მესამე: დიადი ადამიანების როლი..... | 170 |
| ცივილიზაციათა განვითარებაში..... | 170 |
| ნაწილი მეოთხე: ერების ხასიათის დაშლა და მათი დასება...179 | 179 |
| თავი პირველი: როგორ ფერმკრთალდება და..... | 179 |
| იფერფლება ცივილიზაციები..... | 179 |
| თავი მეორე: ზოგადი დასკვნები..... | 190 |
| გამომცემლობა „აქტის“ მიერ გამოცემული წიგნები..... | 197 |

მთარგმნელის წინასიტყვაობა

გუსტავ ლე ბონი 1841 წლის 7 მაისს დაიბადა ნოჟენ-ლე-როტრუში. მომავალ მეცნიერს დიდგვაროვანი წარმომავლობა ჰქონდა, მესამე რესპუბლიკის მეხუთე პრეზიდენტ სადი კარნოსაც კი ენათესავებოდა, თუმცა ოჯახი საშუალო კლასის წარმომადგენელი იყო. ლე ბონმა კლასიკური განათლება მიიღო ლიეჟუში, შემდეგ კი სწავლა პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო. პარალელურად სწავლობდა ინგლისურ და გერმანულ ენებს სხვის დაუხმარებლად, შექსპირის დრამების კითხვის მეშვეობით ორივე ენაზე.

ბევრს მოგზაურობდა, წერდა, აკვირდებოდა, აინტერესებდა სრულიად განსხვავებული სფეროები. 1890-იან წლებში განაცხადა, რომ ახალი სახის გამოსხივება აღმოაჩინა, „შავი ნათება“, რამაც მეცნიერულ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ლე ბონი ნობელის პრემიაზე წარადგინეს. აინშტაინამდე ივარაუდა მასისა და ენერჯიის ექვივალენტობა, ხოლო თავის შრომაში *L'Évolution des Forces* (1907)¹ ატომური საუკუნის დადგომა იწინასწარმეტყველა.

1. *L'Évolution des Forces* – ძალების ევოლუცია – მთარგმნელი.

ამან, საბოლოოდ, ხელი შეუწყო იმას, რომ ლე ბონი ცნობილი გახდა, როგორც ერუდიტი. მისი ინტერესთა სფერო მოიცავდა ანთროპოლოგიას, მედიცინას, ფიზიკას, სოციოლოგიას, იყო გამომგონებელი (შექმნა პორტატული ცეფალომეტრი – ადამიანის თავის ქალის გასაზომი ხელსაწყო), თუმცა ლე ბონი ყველაზე მეტად ცნობილი მასების ფსიქოლოგიის თემაზე შექმნილი ნაშრომებით არის.

მის წიგნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და არა მხოლოდ კითხულობდნენ, არამედ სწავლობდნენ პლესხანოვი, სორელი, მუსოლინი, ჰიტლერი, ლენინი, ფროიდი. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი თხზულების („მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი“, 1921) მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ლე ბონის კვლევის კრიტიკას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომი, „ერების ფსიქოლოგია“, საფრანგეთში 1895 წელს გამოქვეყნდა. ეს წიგნი პირველი მცდელობაა ერების ქცევის მეცნიერული ახსნისა.

ლე ბონის მიხედვით, ცივილიზაციის საფუძველს ერის სული წარმოადგენს, რომლის ფორმირებაც მემკვიდრეობითი დაგროვების მეშვეობით ხდება. ის იმდენადვე მდგრადი და ცვლილებებისადმი მოუწყვლადია, რამდენადაც ერის ანატომიური ნიშნები.

სახელმწიფო დაწესებულებების, რელიგიისა თუ სხვა ინსტიტუტების ცვლილებებს გავლენა არ აქვს ერის სულზე, თუმცა ეს უკანასკნელი დიდ ზემოქმედებას ახდენს მათზე.

შესაძლოა პარადოქსულად მოგეჩვენოთ ის, რომ ლე ბონი ხელოვნებასა და კულტურას ერის ცივილიზებულობის ნიშნებად არ განიხილავს. ამის საბუთად ავტორს ის ფაქტი მოაქვს, რომ, როგორც წესი, ცივილიზაციის სათავეში დგანან ერები სუსტად განვითარებული, უტილიტარული კულტურით, მაგრამ ძლიერი ხასიათითა და იდეალებით.

გუსტავ ლე ბონი

ერევის ფსიქოლოგია

შესავალი:
თანასწორობის თანამედროვე იდეები და
ისტორიის ფსიქოლოგიური საფუძველი

თანასწორობის იდეის წარმოშობა და განვითარება. – მისით გამოწვეული შედეგები. – რას მივიღებდით მისი გამოყენებით. მისი ამჟამინდელი გავლენა მასებზე. – წინამდებარე შრომით დასახული ამოცანები. – ერების ზოგადი ევოლუციის ძირითადი ფაქტორების კვლევა. – ხომ არ წარმოიშობა ეს ევოლუცია ინსტიტუტებში? – ხომ არ მოიცავს ყოველი ცივილიზაციის ელემენტები – ინსტიტუტები, ხელოვნება, აღმსარებლობა და ა.შ. – გარკვეულ ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც ყოველი ერისთვის ცალკეულად არის დამახასიათებელი? – შემთხვევითობის მნიშვნელობა ისტორიაში და უცვლელი კანონები. – მოცემულ სუბიექტში მემკვიდრეობითი იდეების შეცვლის სირთულე.

ერების ინსტიტუტთა ხელმძღვანელი იდეები უკიდურესად ხანგრძლივ ევოლუციას განიცდის. წარმოიქმნება მდოვრედ

და ასევე ნელა ქრება. იქცევა რა ცხად ცდომილებად განათლებული გონებისთვის, ისინი კიდევ დიდხანს რჩება შეუდავებელ ჭეშმარიტებებად და კვლავ განაგრძობს გავლენას ხალხთა ბნელ მასებზე. თუკი ახალი იდეის ჩაგონება რთულია, არანაკლებ რთულია ძველის განადგურება. კაცობრიობა გამუდმებული სასოწარკვეთილებით არის ჩაფრენილი მკვდარ იდეებსა და მკვდარ ღმერთებს.

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც პოეტებმა და ფილოსოფოსებმა, რომლებიც უკიდურესად უბირები არიან ადამიანის პირველყოფილ ისტორიასთან, მის სულიერ აგებულებასთან და მემკვიდრეობითობის კანონებთან მიმართებით, სამყაროს ადამიანებისა და ერების თანასწორობის იდეა შესთავაზეს.

მასებისათვის ერთობ მომხიბვლელი ეს იდეა მალე მყარად დამკვიდრდა მათ სულში და არც ნაყოფის გამოღება დაახანა. მან ძველ საზოგადოებათა საფუძვლები შეარყია, ერთ-ერთი უსაზარლესი რევოლუცია და დასავლური სამყაროს მიძიმე კონვენუსია გამოიწვია, რისი დასასრული არც კი ჩანს.

უდავოა, რომ ინდივიდებისა და ერების გამმიჯვნელი ზოგი უთანასწორობა მეტისმეტად ცხადი იყო, რათა მათ სერიოზულად შევდავებოდით; მაგრამ ადამიანები იოლად მშვიდდებოდნენ იმ აზრით, რომ ეს უთანასწორობა აღზრდის განსხვავებათა შედეგია, რომ ყველა ადამიანი თანაბრად გონიერი და კეთილი იზადება და მხოლოდ ინსტიტუტები რყვნის მათ. ამის საწინააღმდეგო საშუალება ერთობ მარტივი გახლდათ: ინსტიტუტების გარდაქმნა და ყველა ადამიანისთვის თანაბარი აღზრდის უზრუნველყოფა. ამგვარად იქცა ინსტიტუტები და განათლება თანამედროვე დემოკრატიათა დიად პანა-

გამომცემლობა „აქტის“ მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

მერაბ მამარდაშვილი –

1. კარტეზიანული განაზრებანი
2. ცნობიერება და ცივილიზაცია
3. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
4. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქონალიზის შესავალი

4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი –

1. უსაფუძვლობის აპოთეოზი
2. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
3. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივაპანანდა –

1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

პარლ იასპერსი –

1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი –

1. ესეები
2. ქორწინება და მორალი

ერიხ ფრომი –

1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო –

1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი –

1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუმბერტი –

1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტიგა-ი-გასეტი –

1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი –

1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი –

1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯილუ კრიშნამურტი –

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო –

1. ცნობიერების მზე
2. საწყისთა საწყისი
3. სიყვარულის ძალა
4. რა არის მედიტაცია?
5. სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი
6. მომავლის ადამიანის უფლებები
7. სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ალექსანდრე ბერკმანი –

1. ანარქიზმის ანბანი

იმა გოლდმანი –

1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ვ. ლოურენსი –

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა –

1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაკათმა განდი –

1. გზა ღმერთისაკენ

ჯორჯ ბერკლი –

1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

გიორგი გურჯიანი –

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდუშელი –

1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ავტორთა ჯგუფი –

1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული –

1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი –

1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი

ჯონ სტიუარტ მილი –

1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი –

1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი –

1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი –

1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი –

1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი –

1. კარმა
2. თეოსოფია
4. ემოტურული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები

ელენე ბლავატსკაია –

1. თეოსოფიის გასაღები